

აღწერილობა

ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშები

კულტურის დასახელება: **ხორბალი**

ბოტანიკური სახელწოდება: *T. carthlicum* var. *fuliginosum* Zhuk.; *T. carthlicum* var. *stramineum* Zhuk.; *T. aestivum* var. *erytrospermum* (Körn.) Velican; *T. aestivum* var. *ferrugineum* (Alef.) Mansf.

ჯიშის დასახელება: **ჯავახეთის დიკა**

სელექციონერი: **ხალხური**

შემნარჩუნებელი: **სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**

ჯიშის სტატუსი: **თავისუფალი**

გავრცელება: ჯავახეთის დიკა სამხრეთ მთიანეთის – ჯავახეთის ზეგნის აბორიგენული ჯიშ-პოპულაციაა, რომელიც ითესება ზღვის დონიდან 1400-2300 მ სიმაღლეზე და წარმოადგენს მაღალმთიან ეკოტიპს.

დახასიათება: ჯავახეთის დიკას პოპულაციები რთული ცენოზია. ძირითადად შედგება რბილი ხორბლის (*Triticum aestivum*) და სახეობა დიკას (*T. carthlicum*) სახესხვაობებისაგან.

რბილი ხორბალი პოპულაციაში წარმოდგენილია ერითროსპერმუმის (*T. aestivum* var. *erytrospermum* (Körn.) Velican) სახესხვაობით - თავთავი თეთრი, ფხიანი, შეუბუსავი. მარცვალი წითელი. ფერუგინეუმის (*T. aestivum* var. *ferrugineum* (Alef.) Mansf.) სახესხვაობა გვხვდება მინარევად - თავთავი ფხიანი, წითელი, შეუბუსავი. მარცვალი წითელი. ძალიან იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება მინარევების სახით სხვა სახესხვაობაც *barbarossa* - თავთავი ფხიანი, წითელი, კილი შებუსული, მარცვალი წითელი.

ჯავახეთის დიკას კომპონენტებს – რბილი ხორბლის ძირითად სახესხვაობებს აქვთ ფხები თავთუნის კილებზე, რომელიც მორფოლოგიურად ძალიან ჰგავს დიკას (*T. carthlicum*). რბილი ხორბლის და დიკას შეფარდება სხვადასხვა პოპულაციაში ცვალებადობს.

ჯავახეთის დიკა პოპულაციაში წარმოდგენილია მხოლოდ ორი სახესხვაობით: 1) წითელთავთავიანი (*T. carthlicum* var. *fuliginosum* Zhuk.) - თავთავი ფხიანი, წითელი, მარცვალი წითელი და 2) თეთრთავთავიანი (*T. carthlicum* var. *stramineum* Zhuk.) - თავთავი თეთრი, ფხიანი, მარცვალი წითელი დიკის ნარევით. შავი დიკა ამ ცენოზის პოპულაციებში არ გვხვდება. ასევე მინარევის სახით არის რბილი ხორბალი *Triticum aestivum* subsp. *carthlicoides* nom. nud., რომელიც თავთავის მორფოლოგიით *Triticum turgidum* subsp. *carthlicum* (Nevski) A. Love-ის მსგავსია.

ჯავახეთის დიკას პოპულაციებში ჭარბობს წითელი დიკა, რომელსაც აქვს ძალიან ინტენსიური შეფერვა და ახასიათებს თავთავის ღერაკის ყავისფერი შებუსვა (სურ 1) და თავთუნის ფუძესთან ბეწვის კონა (*f. dzhavacheticum*) (სურ 2).

ბიო-მორფოლოგიური მახასიათებლები:

ბუჩქი	სწორმდგომი (სურ.3)
ბარტყობა	საშუალო
მცენარის სიმაღლე	100-110 სმ.
ღერო	თავთავის ქვეშ წვრილი, თითქმის ყოველთვის ამოვსებული, უფრო იშვიათად პატარა ნასვრეტით. გამძლეა ჩაწოლისადმი.
ფოთოლი	წვრილი (სურ.4)
თავთავი:	ნაკლებად მკვრივი, ნახევრად ცილინდრული ფორმის, თეთრი.
ფხეზი	დაკბილული, წვრილი, თავთავის სიგრძის ტოლი ან მეტნაკლები, მარაოსებრი განლაგებით (სურ.6). თავთავი ხასიათდება თავთუნების კილებზე ისეთივე სიგრძის ფხეზის არსებობით, როგორც ყვავილების კილებზე (სურ.5).
ღერაკი	ძალიან ვიწრო და თხელი (სურ.6)
თავთუნი	მრავალყვავილიანი და კარგად დამარცვლული. (სურ.7)
კილის ფორმა	კვერცხისებური, ქედი ვიწრო ნათლად გამოსახული, ბოლოვდება ნამდვილი ფხით (სურ.8).
კილის კბილაკი	კბილაკის მაგივრად ნამდვილი გრძელი ფხა (სურ.8)
მარცვალი:	წვრილი, წითელი, ოვალური ფორმის, ნახევრადრქისებრი კონსისტენციის. მარცვალს ზურგის მხარე აქვს დამახასიათებელი - ოდნავ დანაოჭებული და დაფარული ცვილისებრი ნაფიფქით (სურ.9)
განვითარების ტიპი	საგაზაფხულო

დამატებითი ინფორმაცია: ჯიშ ჯავახეთის დიკას შემადგენელი სახესხვაობები საგაზაფხულოა და საშუალო საადრეო. კარგად არის შეგუებული თესვა-მოყვანას მთიან ზონაში. ნაკლებად ზიანდება სიმწიფეების დროს წვიმებისაგან, კარგად იტანს გვალვასაც. გამძლეა ჟანგასი და გუდაფშუტას ყველა სახეობის მიმართ.



სურ 1



სურ 2



სურ 3



სურ 4



(სურ.5)



(სურ.6)



სურ 7



(სურ.8)



(სურ.9)

ლიტერატურა:

1. პ. ნასყიდაშვილი, მ. სიხარულიძე, ე. ჩერნიში ხორბლის სელექცია საქართველოში. თბილისი 1983
2. თავთავიანი პურეულის სარკვევი. მეთოდური დამუშავება. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თბილისი, 1991
3. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები – საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2010
4. პ. ნასყიდაშვილი და სხვა - საქართველოს ხორბალი და სელექციური მუშაობა მასზე. თბილისი 2013
5. Kuckuck, H. (1979) On the origin of *Triticum carthlicum* Nevski (*Triticum persicum* Vav.). Wheat Inf. Serv. 50, 1–5.
6. Takumi Sh, Morimoto R. (2015) Implications of an inverted duplication in the wheat KN1-type homeobox gene *Wknox1* for the origin of Persian wheat. Genes Genet Syst 90:115–120.
7. Gogniashvili, M.; Matsuoka, Y.; Beridze, T. (2021) Genetic Analysis of Hexaploid Wheat (*Triticum aestivum* L.) Using the Complete Sequencing of Chloroplast DNA and Haplotype Analysis of the *Wknox1* Gene. *Int. J. Mol. Sci.* 22, 12723.